



# 130013

5



TRACECA

# თბილისმა დაკარგა კლავ ერთი არქიტექტურული ძეგლი



თბილისში, როგორც ყველა ძველ ქალაქში, უამრავი არქიტექტურული ძეგლია და ყველასათვის ცხადია, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ ჩვენი დედაქალაქის სახეს. არქიტექტურულ ძეგლად მიჩნეული თბილისის ცალკეული ნაგებობები თუ ისტორიული უბნები თავიანთი არსებობის მანძილზე ბევრი ნგრევისა და რბევის მონმენი გამხდარან.

ჩვენმა დრომაც თავისი "წვლილი" შეიტანა ამ საქმეში: 1991-92 წლების ომი ქალაქის ცენტრში, მის ძველ უბანში მიმდინარეობდა. დაზიანდა და დაინგრა ბევრი, ისტორიული თუ არქიტექტურული მნიშვნელობით გა-მორჩეული შენობა. ამჟამად ომით იავარქმნილი ზოგიერთი შენობის აღდგენა უკვე დამთავრებულია: პირველი საშუალო სკოლა, ყოფილი კავკასიის შტაბის შენობა, მთავრობის სასახლე; რეკონსტრუქციის პროცესშია რამდენიმე: სასტუმრო „თბილისი“ და მის გვერდით მდებარე ბანკი; ხოლო რამდენიმე -ყოფილი სასტუმროები „კავკაზი“ და „ინტერნაციონალი“, საცხოვრებელი სახლი №4 ა თავისუფლების მოედანზე -უბრალოდ და-ვიწყებას მიეცა, რადგან მათ ადგილას აშენდა და ახლაც შენდება გეგმარებითა თუ გარეგნული იერით ახალი, თვისობრივად განსხვავებული შენობები.

თუ როგორი მეთოდებით განისაზღვრება ომის შემდგომ ამ შენობების აღდგენის სტრატეგია, ვინ და რამითაა მათ მთავარი როლი ახალი მშენებლობის დაგეგმვაში, რამდენად სწორი იყო მიღებული გადაწყვეტილებები - ეს საკმაოდ ვრცელი თემაა, რომელიც ოდესმე, იმედი მაქვს, სრული ობიექტურობით განიხილება; ერთი კი ცხადია: პროექტების საერთო, დამახასიათებელი ნიშანია ძეგლთა დაცვის კანონის უგულვებლყოფა. შევეცდები, გაგახსენოთ ერთი შენობის ისტორია:

თავისუფლების მოედანზე საცხოვრებელი სახლი №4 ა, რომელიც თბილისის ომის დროს დაინგა, შემდეგ საფუძვლიანად გაიძარცვა, მერე კი ნელ-ნელა ნგრევა დაუწყეს, და ერთ დღესაც სამშენებლო ტექნიკით მიწასთან გაასწორეს. დღეს სახლი №4 ა ფიზიკური არსებობიდან ნახაზებსა და ფოტოებში გარდაისახა არქიტექტორ-რესტავრატორების თ.აბრამიშვილის, მ.ურდია-სა და მ.ქართველიშვილის მეოხებით, რომლებმაც, საბედნიეროდ, ქალაქზე მაინც შეგვინარჩუნეს არა მარტო ეს შენობა, არამედ მისი მიმდებარე ნაგებობებიც.

ხელოვნებათმცოდნე ც.ჩაჩხუშაშვილმა 1995 წელს ჩაატარა სახლი № 4 ა-ს საარქივო და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა; ირკვევა, რომ ეს ადგილი ჯერ კიდევ ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია როგორც „ბაღები მამასახლისისა“, 1828 წლის თბილისის რუკის მიხედვით კი აქ განთავსებულია „თავად მამასახლისოვის“ სასახლე; შესაძლებელია, რომ სახლის სარდაფში მოქცეული ძეგლი, სწორკუთხა ნაგებობა, შემკული აგურის თალებითა და თახჩებით, მამასახლისის სასახლის ნაწილი იყო; რაც შეეხება ზედა ნაგებობას, ის მე-20 ს-ის დასაწყისში აშენდა „მოდერნის“ სტილში. თავისი ფუნქციით შენობა ე.წ. საშემოსავლო სახლს წარმოადგენდა და საქართველოში „მოდერნის“ სტილის ერთი ადრეული ნიმუშთაგანი იყო.

სტილი „მოდერნი“ (საქართველოში ეს სახელწოდება რუსეთის გავლენით დამკვიდრდა), იგივე „არტ ნუვო“ როგორც დღეს უცხოეთშია მიღებული, საყოველთაოდ არის აღიარებული ერთ-ერთ ყველაზე პოეტურ, მშვენიერ და ძალზე ხანმოკლე არსებობის მქონე სტილად. ის სავსებით სამართლიანად ითვლება საინტერესო და ორიგინალურ მოვლენად ზოგადად იმ პერიოდის ხელოვნებაში, და არა მარტო ხელოვნებაში.

აღსანიშნავია, რომ ყურადღება მის მიმართ წლით-წლით მატულობს.

„არტ ნუვო“, რომელიც ხელოვნებაში ინტერნაციონალურ სტილად არის აღიარებული, ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, მას ეძღვნება მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, კონფერენცია თუ სემინარი, ევროპისა და ამერიკის ბევრ ქალაქში დაარსდა ამ სტილის მუზეუმები და მუდმივი გამოფენები.


1986 წელს „იუნესკომ“ შეიმუშავა ფართომასშტაბიანი პროგრამა ამ სტილის უცნობი ნიმუშების გამოსავლენად, მათ შესასწავლად და დასაცავად. სამწუხაროდ, საქართველომ ვერ მიიღო მასში მონაწილეობა.

საბჭოთა პერიოდში ბურჟუაზიულ მოვლენად მიჩნეული, საქართველოში უსამართლოდ მივიწყებული „არტ ნუვოს“ არქიტექტურის აღნუსხვა-შესწავლა ახლაც იწყება. საზოგადოებისათვის, როგორც ჩვენში,

ლების მოედანი № 4 ა-ც საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა და არქიტექტურულ ძეგლად იყო მიჩნეული, მის ძველ სარდაფს კი, არქიტექტურულის გარდა, მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულებაც ჰქონდა, რადგან აქ წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ ფოტოგრაფები ა.როინაშვილი და დ. ერმაკოვი.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ „თბილისის ომის“ შემდეგ ყველას საკუთარი მიზნები და სურვილები ამოძრავებდა: მაცხოვრებლებს მეტი ფართი და კომფორტი უნდოდათ, ინვესტორებს მეტი სარგებელი, არქიტექტორებს - შეკვეთების მარტივად და უპრებლოდ განხორციელება, ხელისუფლებას კი ყველაფრის დროულად მოგვარება, და, ცხადია, ყველა მათგანს ჰქონდა საკუთარი სიმართლე.

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში საქართველოს მინისტრთა კა-



ასევე უცხოეთში, უცნობია, თუ რა შესანიშნავი ნაგებობებია „არტ ნუვოს“ სტილში აშენებული არა მარტო თბილისში, არამედ გარეაში, სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში, დუშეთში. სხვადასხვა ფუნქციისა და მოცულობის მქონე ეს შესანიშნავი შენობები საქართველოს არქიტექტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ღირსეულ ჯგუფს ქმნიან.


აღწერამ მხოლოდ თბილისში „არტ ნუვოს“ 170-მდე შენობა გამოავლინა, რომელთაგან არანაკლებ 50-ისა მაღალი მხატვრული ღირებულებისაა. ისინი უყოყმანოდ შეიძლება დავაყენოთ ამ სტილის შემქმნელი ევროპული ქვეყნების ნიმუშთა გვერდით.

„არტ ნუვოს“ სტილით საქართველოში აშენდა ბანკები, საავადმყოფოები, სასწავლებლები, მაღაზიები, ატელიეები, საცხოვრებელი და საშემოსავლო სახლები. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ცუდ მდგომარეობაშია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საცხოვრებელი სახლები, სადაც ყველაზე ხშირია აქტიური ჩარევა მათი უხირო შეკეთებისა და გადაკეთების გამო. თავისუფ-

ბინეტის 1992 წლის 25 იანვრის დადგენილებით (№72) დაზიანებულ შენობათა აღდგენითი სამუშაოების კოორდინაცია დაევალა მერიას, რომელიც თავისთავად №176 (21.02.92) განკარგულებით (ხელს აწერს ო. ლითანიშვილი) ავალებს დირექციას „თბილქალაქპროექტთან“ ხელშეკრულებით უნდა ეთანამშრომლა საპროექტო-სამეცნიერო ინსტიტუტებსა თუ კონკურსში გამაჯვებულ ჯგუფებთან.

აღნიშნული სახლის აღდგენის პროექტი შეადგინა ან გარდაცვლილმა ლევან ჯანდიერმა. პროექტი შეთანხმდა მთავარ არქიტექტორთან (ბრძანება №427 31.07.92). ამ დროს შენობა ჯერ კიდევ მყარად იდგა. ამავე დროს შედგა სახლის ტექნიკური მდგომარეობის აქტი, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს მის აღდგენას თავდაპირველი სახით.

გადის დრო, პროექტის განხორციელებას არავინ ჩქარობს. ამასობაში, 1994 წლის 24 თებერვალს, მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით, ომის



დროს დანგრეული შენობების აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად და დასაფინანსებლად ჩამოყალიბდა ორგანიზაცია "თბილისი სიტი". ამ დადგენილებით შექანიკურად გაუქმდა ყველა წინა პროექტი, წინადადება და დადგენილება. შესაბამისად გაუქმდა №4 ა სახლის აღდგენა-რესტავრაციის პროექტიც.


„თბილისი სიტი“ სახლის აღდგენის ახალ პროექტს უკვე თავს არქიტექტორ გ. გეგეშიძეს.

1994 წლის აპრილში გ. გეგეშიძის პროექტი საქალაქპროექტის მცირე სხდომაზე დანვრისგამოიხილა იქნა განხილული და დამტკიცებული (ხელს აწერენ მ.ჩხენკელი, ყუფუნია). სამწუხაროდ, არც პროექტის განმარტებით ბარათში და არც განხილვაზე არაფერი ითქვა შენობის, როგორც არქიტექტურული ძეგლის, თავდაპირველი სახით შენარჩუნების შესახებ. სახლი იმ დროს, მართალია, უკვე ძლიერ დაზიანებული იყო, მაგრამ მაინც არსებობდა.

1996 წლის გაზაფხულზე კი, როცა სახლი №4 ა უკვე

განადგურებული იყო და არც ახლის აგებას უჩანდა პირი, ვესაუბრე პროექტის ავტორს, ქალაქის მთავარ არქიტექტორს და ძეგლთა დაცვის უფროსს, რომლებმაც სინანული გამოთქვეს შენობის დანგრევის გამო, მაგრამ დაღუპულის აღდგენა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

...ამჟამად ახალი სახლი სანახევროდ უკვე აშენებულია, აღარავის ახსოვს არც ძველი სახლი და არც მისი სარდაფი. თუმცა ეჭვგარეშეა, დაკმაყოფილებულ მოზინადრეებს არასოდეს დაავიწყდებათ და ალბათ ბევრჯერ მოენატრებათ უწინდელი სახლის ის სილამაზე და სულიერება, რაც საერთო დამახასიათებელი ნიშანია ძველი ხელოვნების ნიმუშათვის.



ნესტან თათარაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი

## იეიდება სიძღვრები

თბილისში "ანდამბრაუნლი" მიწისმფლობელთა მუსიკა...

ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ადამიანის არსებობაზე სხვადასხვაგვარად აისახება. ახალი ვითარება ცხოვრების ახალ წესებსა და სიტუაციებს ქმნის, ახალ ნორმებს წერგავს. საზოგადოება იძულებულია, „მოერგოს“ სიახლეს და თავის გადარჩენაზე იზრუნოს. ბევრმა ამიტომ პროფესია შეიცვალა - ზოგმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგმა ხელობა აითვისა და ბინებსა თუ საყოფაცხოვრებო ნივთებს არემონტებს. ზოგი იძულებული გახდა, მათხოვრობა დაეწყო, ზოგიც ქუჩაში გამოვიდა და სოციალურად ახალი ფენა - ქუჩის მუსიკოსები - შექმნა.



ილიკო ქურხული. ბაბაიანი, „პაცანები“

30-იან წლებში საქართველოს რუსეთიდან დამპყლ-გაჭირვებულთა მრავალრიცხოვანი „არმია“

მოაწყდა, მათ შორის ბევრი უპატრონო, მანანალა ბავშვი იყო. ისინი ქალაქს მოედნენ, „პაცანებად“ იწოდებოდნენ და მათხოვრობით, ქურდობით ირჩენდნენ თავს. ზოგმა სარჩოს შოვნის სხვა გზა აირჩია - ძროხის ნეკნებისაგან საკუთარი ხელით გაკეთებულ „კასტანიეტებზე“ უკრავდა და მღეროდა. თბილისში ვინმე ბაბაიანიც ცხოვრობდა - კოლორიტული და მეტად ცნობილი პიროვნება - მოხეტიალე მარტოხელა მსახიობი. ის ოტელოს თამაშობდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა. მოსახლეობა ხურდა ფულს უყრიდა. ბაბაიანი ამით ირჩენდა თავს.

50-60-იან წლებში თბილისის ეზოებში ერთი შაოსანი ქალი დადიოდა, მღეროდა. ძლიერი ტემბრის, ლამაზი ხმა ჰქონდა, იმდენად ძლიერი, რომ მისი სიმღერა ყველაზე მაღალ სართულებსაც კი სწვდებოდა. მანდილოსანი იდუმა-

ლებისა და ლეგენდების საბურველში იყო გახვეული. საქართველოში ცხოვრობდა მართლაც ლეგენდარული პიროვნება, ზოგიერთის აზრით, „ახირებული კაცი“ - ილიკო ქურხული. მის ასპარეზს მთელი საქართველო წარმოადგენდა. ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც კი იყო ნამყოფი. პროფესიონალი მუსიკოსი ვიოლინოზე უკრავდა. „კონცერტების“ წინ ჩვილი ბავშვის სამოსს გამოფენდა (ერთ-ერთ სოფელში შვილმკვდარი დედის მიერ ნაჩუქარს) და არასოდეს იცილებდა თავიდან. ილიკო ქურხული ყველას უყვარდა. ყველგან მეგობრები ჰყავდა. მთავარი მისთვის მუსიკა, ხალხთან ურთიერთობა და ხელოვნებასთან ზიარება იყო. მატერიალური მოგება ნაკლებად აინტერესებდა.

ქუჩის მუსიკოსები თბილისში კვლავ გამოჩნდნენ თავისუფლების მოედნიდან ვერის პარკამდე

ქუჩის დღევანდელი მუსიკოსები (წინამორბედებისაგან განსხვავებით) არსად არ დახეტიალობენ. ეზოეზო არ დადიან. ძირითადად ერთ ადგილზე დანან. მათი სამფლობელო მიწისქვეშეთია - ყველაზე ხალხმრავალი მიწისქვეშა გადასასვლელები.

ქუჩის მუსიკოსთა ძირითად ნაწილს რუსთაველის გამზირის „იატაკევეში“ აქვს ათვისებული. ყოველ მუსიკოსს ან ყოველ ჯგუფს საკუთარი მოედანი აქვს, ადგილი, სადაც სხვა ვერავინ დაუკრავს. ეს დაუნერვლი კანონია. აქ „მინისტრის“ არავინ იბრძვის, გავლენის სფეროებს არავინ ინანილებს. აქ არ არსებობს მაფიოზური კლანები და არ არსებობენ ბოსები, არ არსებობს კონკურენცია. „მინისტრის ქვეშეთში“ ყველა თანასწორია.

ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ქუჩის მუსიკოსები რამდენიმე ჯგუფად და კატეგორიად იყოფიან. უპირველეს ყოვლისა, არსებობენ პროფესიონალები და მოყვარულები. პროფესიონალიზმიც საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა (და არა მარტო ქუჩასთან მიმართებაში). ზოგიერთ მუსიკოსს პროფესიული განათლება არა აქვს, მაგრამ საკუთარ თავზე მუშაობით, განუწყვეტელი ვარჯიშით, ინსტრუმენტთან აქტიური კონტაქტით არის დაოსტატებული.

ქუჩის მუსიკოსები ერთმანეთისაგან მიზნებითა და საქმიანობასთან დამოკიდებულებითაც განსხვავდებიან. ერთნი ქუჩაში დაკვირვითა და სიმღერით სარჩოს შოულობენ, მეორენი კი საკუთარი სიამოვნებისათვის მუზიციერებენ და ფულს, როგორც მეორეხარისხოვან მოვლენას, ისე აფასებენ.

თავისუფლების მოედანზე, გადასასვლელის კიბეებზე, ხანშიშესული მამაკაცი ზის და ფანდურს აჩხაკუნებს. ვერის ბაზართან „მინისტრის“ კუთხეში ასევე ხნოვანი „მუსიკოსი“ „ჩემო პატარა გოგონას“, „ჩემურამკასას“ და მსგავს სიმღერებს მღერის, გამვლელებს უხმობს და დროდადრო ცეკვავს ხოლმე. ქაშუეთთან ახალგაზრდა ქალი მღერის (იშვიათია ასეთი სილამაზის ხმა). ბაზრობების შემოგარენშიც დოლ-გარმონზე, სალამურსა და გიტარაზე დამკვრელები დგანან. თითოეული მათგანისათვის ქუჩა არსებობის წყაროა.

მთავარია თავისუფლება

ყველაზე ხალხმრავალი და მხიარული ჯგუფი ოპერის გადასასვლელში უკრავს. მუსიკოსებიდან ზოგი



პროფესიონალია, ზოგიც ახლა იწყებს მუსიკის სამყაროში შესვლას. 18-24 წლის ბიჭები ყოველდღიურად 12-დან 18 საათამდე, ნებისმიერ ამინდში უკრავენ. მათ ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ახვევია გარს, ძირითადად ახალგაზრდები.

მუსიკოსები უკრავენ გიტარებზე, საქსოფონზე, ფლეიტაზე, მღერაინ. უკრავენ ყველანაირი სტილის, მიმართულების მუსიკას, გათვლილს ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მსმენელზე.

18 წლის აჩიკო ციმაკურიძე (გიტარა) ამ საქმიანობას ოთხი წელია მისდევს. მასთან ერთად უკრავენ პავლე ხობოშოვსოვი და კახა (ოპერის ორკესტრის მუსიკოსი). სანამ აჩიკო დაკვრას ისწავლიდა, ადამიანებისათვის თავისი მუსიკის გაცნობაზე ოცნებობდა. დღეს მან ეს ოცნება აისრულა. ძალიან უყვარს ქუჩა, რადგან იქ ათასნაირი ხალხი დადის. ფიქრობს, რომ „მინისტრის ქვეშეთში“ მოხვედრილი გამვლელი მუსიკის მოსმენისას შეიძლება კარგ გუნებაზე დადგეს და ეს განწყობა კარგა ხანს გაჰყვას. რაც მთავარია, ახალგაზრდა მუსიკოსისათვის ქუჩა თავისუფლებაა, თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამ თავისუფლების გამოა, რომ მის ბევრ კოლეგას მატერიალური სიზარეულებად აინტერესებს. შემოსავალი გზისა და სიგარეტის ფულად ჰყოფნის, მაგრამ ამითაც კმაყოფილია.

ფილარმონიასთან ორი ჯგუფი უკრავს. ერთი დღის პირველ ნახევარში, მეორე - 3 საათის შემდეგ.

დიმა მალრაძე (23 წლის) და გოჩა ბაკურაძე (22 წლის), პროფესიონალი გიტარისტები, პირველ „ცვლაში“ მუშაობენ. ისინი უჩვენებენ საზოგადოებას, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ გიტარით. მიაჩნიათ, რომ მართავენ პატარა კონცერტებს. უკრავენ იმას, რაც პოპულარულია ხალხში. არჩევენ საშუალო ვარიანტს - ყველას ვერ ასიამოვნებ. რეპერტუარს ბაზრობაზე არჩევენ, იქვე იწერენ კასეტებზე და შემდეგ ამუშავებენ. როგორც ქართველებს, ყველაზე მეტად ეროვნული მუსიკა მოსწონთ. ყოველი მეხუთე გამვლელი ფულს უყრის, მაგრამ მათ დაკვრა ისე იტაცებს, რომ შემოსავლის რაოდენობას მხოლოდ საბოლოო დაანგარიშებისას არკვევენ. შემოსავალი კი გიტარის სიმების, კასეტების და სიგარეტის საყიდლად ჰყოფნიან.

სამ საათზე ფილარმონიასთან 21 წლის საქსოფონისტის სოსო ლაზაშვილის ჯერი დგება. ის მეგობარ გიტარისტთან ერთად უკრავს.

სოსო იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი გან-